

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 8

## კერძო ნაწილი

1. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;  
გარყვნილი ქმედება
2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა
3. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ
  - გამოძალვა
  - ქურდობა
  - ყაჩაღობა

**1. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა  
და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;  
გარყვნილი ქმედება**

**განჩინება**

#858-აპ-09

28 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- ვ. როინიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. ბ-ს, ზ. ქ-სა და ო. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის განაჩენით გ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 16 ივლისიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა გ. მ-მ ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება გაუკუღმართებული ფორმით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-მ 2008 წლის 13 ივლისს ... რაიონის დაბა ..., მის საოჯახო სასტუმროში დასასვენებლად ჩასული, უმწეო მდგომარეობაში მყოფი, 20.. წლის ... ნოემბერს დაბადებული რ. მ-ე შეიყვანა სათავსში, ისარგებლა ... წლის ბავშვის უმწეო მდგომარეობით - მომარდვის შემდეგ არ მისცა ტრუსის აწევის საშუალება, თვითონაც ჩაიწია შარვალი და ტრუსი, ზურგით მიეყუდა კარს დადგა მუხლებზე და თავისი სასქესო ორგანო რამდენჯერმე მიადო რ. მ-ს სასქესო ორგანოზე, რის შემდეგაც ძალადობის მუქართა აიძულა ბავშვი, მომხდარის შესახებ არავისთვის ეთქვა. ორი დღის შემდეგ, ... ივლისს, კვლავ მიიყვანა რ. მ-ე ფარდულში, ჩახადა ტრუსი, თავისი სასქესო ორგანო რამდენჯერმე მიადო მას სასქესო ორგანოზე, რის შემდეგ ბავშვს დაემუქრა მომხდარის შესახებ არაფერი ეთქვა და გაუშვა.

2008 წლის ... ივლისს, დაახლოებით 13 საათზე, გ. მ-მ რ. მ-ე შეიყვანა საძინებელ ოთახში, ჩახადა ტრუსი და დააპირა იმავე ქმედების ჩადენა, მაგრამ ოთახში შევიდა მეზობელი, რომელმაც დაიწყო ყვირილი და ნანახის შესახებ ბავშვის მშობელს აცნობა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ გ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები - ზ. ბ-ე, ზ. ქ-ე და ო. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და გ. მ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ან სასჯელის შემსუბუქებას. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით; საქმეში არასრულწლოვან რ. მ-ს ჩვენების გარდა არ მოიპოვება რაიმე პირდაპირი მტკიცებულება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულ რ. მ-ის ჩვენებით, მოწმეების - თ. მ-ს, რ. ლ-ს ჩვენებებითა და სხვა მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილია განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით - სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება გაუკუღმართებული ფორმით, ძალადობის მუქართა და დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით.

საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით.

საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ გ. მ-სა და მცირეწლოვან რ. მ-ს შორის მოხდა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით. ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა გ. მ-მ სასქესო ორგანო რამდენჯერმე მიაღო რ. მ-ს სასქესო ორგანოზე, არ ქმნის სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან ამ დროს არ შემდგარა არც სექსუალური კონტაქტი და არც გაუკუღმართებული ფორმის გამოყენებით ასეთი კონტაქტის დამყარების მცდელობა არ მომხდარა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩადენილია გარყვნილი ქმედება. პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც ძალადობით, ასევე - ძალადობის გარეშე.

მხოლოდ ის გარემოება, რომ მცირეწლოვანების გამო რ. მ-ე იყო უმწეო მდგომარეობაში და მის მიმართ განხორციელდა მუქარა არ არის საკმარისი გ. მ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით კვალიფიკაციისათვის; ამ დროს ასევე ჩადენილი უნდა იყოს სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. სასქესო ორგანოების მხოლოდ ფიზიკური ურთიერთშეხება გვაძლევს არა ხსენებული, არამედ - სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - გარყვნილი ქმედების შემადგენლობას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ სსკ-ის 141-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გ. მ-მ ჩაიდინა ორჯერ - 2008 წლის 13 და 15 ივლისს, ხოლო მესამედ - 2008 წლის 16 ივლისს მოხდა მცდელობა, რაც მან ვერ განახორციელა, მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლზე.

გ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით (2008 წლის 13 ივლისის ეპიზოდი) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 141-ე მუხლით (2008 წლის 15 ივლისის ეპიზოდი) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, მე-19, 141-ე მუხლით (2008 წლის 16 ივლისის ეპიზოდი) - 1 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ გ. მ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 16 ივლისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა  
და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;  
გარყვნილი ქმედება**

**განჩინება**

#522-აპ-10

23 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ნ. ც-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 ნოემბრის განაჩენით ნ. ჯ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით - 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. ჯ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 28 ივნისიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ნივთმტკიცება - ნარკოტიკული საშუალება "ხმელი მარიხუანა", საერთო წონით 32,11 გრამი და 1 ძირი სამხრეთული კულტურული მცენარის ჯიშის ნარკოტიკშემცველი "კანაფი", წონით 237,27 გრამი, რომელიც ინახება შს სამინისტროს სპეციალურ-ოპერატიულ დეპარტამენტში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, ნ. ჯ-მ ჩაიდინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი; ასევე ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

... რაიონის სოფელ ... მარტო მცხოვრებ ნ. ჯ-სათვის ცნობილი იყო, რომ ... რაიონის სოფელ ..., მისსავე უბანში მცხოვრები თ. ჯ-ი იყო თოთხმეტ წელს მიულწეველი. 2009 წლის მარტში ნ. ჯ-მ განიზრახა, თ. ჯ-ს მიმართ განეხორციელებინა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2009 წლის მარტში, დაუდგენელ რიცხვს, თ. ჯ-ს სთხოვა მასთან მისვლა, რათა მიხმარებოდა ფანჯრის მიწების გაწმენდაში. ამ უკანასკნელმა უარი არ უთხრა და მცირეწლოვან დასთან - ნ. ჯ-თან ერთად მივიდა ნ. ჯ-ს ბინაში. იმ დროს, როდესაც ნ. ჯ-ი გასული იყო ოთახიდან, ნ. ჯ-მ თ. ჯ-ს მიმართ გამოიჩინა ძალადობა: ძალის გამოყენებით იგი გულადმა დააწვინა ტახტზე, თვითონ დააწვა ზემოდან, ეფერებოდა მკერდსა და სხეულის სხვა ადგილებზე, რითაც განახორციელა სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება. ამ დროს იმ ოთახში შევიდა მეზობელი კ. ქ-ი, რომლის დანახვაზე ნ. ჯ-მ შეწყვიტა თავისი დანაშაულებრივი ქმედება.

ნ. ჯ-მ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ თ. ჯ-მ არ გაამხილა ზემოაღნიშნული ფაქტი სირცხვილის გამო და კვლავ გააგრძელა თ. ჯ-ს მიმართ იგივე ძალმომრეობითი მოქმედება. კერძოდ, 2009 წლის მაისის ბოლოს, დაუდგენელ რიცხვს, თ. ჯ-ი მოტყუებით მიიყვანა თავის საცხოვრებელ ბინაში იმ მოტივით, რომ, თითქოს სახლში უნდა გაეტანებინა ქერი. როდესაც თ. ჯ-ი შეიყვანა სახლში, მიუხურა ოთახის კარი და დაიჭირა იგი, რომელმაც ვერ შეძლო წინააღმდეგობის დაძლევა. თ. ჯ-ს ნ. ჯ-ი ეფერებოდა მკერდსა და სხეულის სხვა ადგილებზე. იგი ცდილობდა ნ. ჯ-ს მოცილებას და დაარტყა ფეხი, რა დროსაც ეს უკანასკნელი წაბარბაცდა და წაიქცა. ამ დროს თ. ჯ-მ მოახერხა და გაიქცა ნ. ჯ-ს ბინიდან.

ნ. ჯ-მ 2009 წლის დასაწყისში განიზრახა, რომ თავის საცხოვრებელ ბინასთან მდებარე საკარმიდამო ნაკვეთში მოეყვანა კანაფის ჯიშის, ნარკოტიკის შემცველი მცენარეები და მისგან პირადი

მოხმარების მიზნით უკანონოდ დაემზადებინა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან 2009 წლის გაზაფხულზე თავის საკარმიდამო ნაკვეთში დათესა და მოიყვანა კანაფის ჯიშის, ნარკოტიკის შემცველი მცენარეები. იმავე წლის 24-26 მაისს დაკრიფა აღნიშნული მცენარე, გამოაშრო იგი და ამ გზით უკანონოდ დაამზადა ნარკოტიკული საშუალება - 32,31 გრამი მშრალი „მარიხუანა“, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა თავისივე ბინის აივნის ქვეშ. 2009 წლის 28 ივნისს შსს ... რაიონული სამმართველოს იგოეთის განყოფილების მუშაკებმა ჩხრეკისას ამოიღეს ნ. ჯ-ს მიერ უკანონოდ დამზადებული და შენახული ნარკოტიკული საშუალება - მშრალი „მარიხუანა“, წონით 32,31 გრამი, ასევე - ერთი ძირი ნარკოტიკის შემცველი „კანაფის“ ჯიშის მცენარე.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ც-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას და ნ. ჯ-ს გამართლებას იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ეფუძნება არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებულებებს.

მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ც-ი დაზუსტებული საკასაციო საჩივრით აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით წარდგენილი ბრალდება უკიდურესად აბსურდული, უკანონო და დაუსაბუთებელია, მაგრამ ნ. ჯ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ნ. ჯ-ს ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით და, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მინიმალური სასჯელის განსაზღვრას; რაც შეეხება სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებას, ადვოკატი ითხოვს „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე სასჯელის განახევრებას, რაც, კასატორის განმარტებით, არ გამოიყენა სააპელაციო სასამართლომ და რაც არის შეცდომა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულ თ. ჯ-ს ჩვენებით, მოწმეების - კ. ქ-ს, ე. კ-ს, თ. ჯ-ს, ი. მ-ს, ე. ხ-ს, ტ. ჯ-ს ჩვენებებითა და სხვა მტკიცებულებებით უდავოდ დადგენილია განაჩენში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციას საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით - სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით.

საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ნ. ჯ-სა და თ. ჯ-ს შორის მოხდა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით. დაზარალებულ თ. ჯ-ს ჩვენებით: „...ნ. ჯ-ს ტანსაცმელი არც თვითონ და არც მისთვის არ გაუხდია“, აგრეთვე ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულმა ნ. ჯ-მ თ. ჯ-ი ძალის გამოყენებით გულადმა დააწვინა ტახტზე, თვითონ დააწვა ზემოდან, ეფერებოდა მკერდსა და სხეულის სხვა ადგილებზე, არ ქმნის სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან ამ დროს არ შემდგარა არც სექსუალური კონტაქტი და არც გაუკუღმართებული ფორმის გამოყენებით ასეთი კონტაქტის დამყარების მცდელობას ჰქონია ადგილი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ჩადენილია გარყვნილი ქმედება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით, ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული დანაშაული ნ. ჯ-მ ჩაიდინა ორჯერ - 2009 წლის მარტში და იმავე წლის მაისის ბოლოს, რის გამოც მისი ქმედებები ამ ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს და შესაბამისად მას სასჯელი დაენიშნოს დანაშაულთა ერთობლიობის წესით.

საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ: მოწმეების - ა. ს-ს, მ. ს-ს ჩვენებებით, ბინის, ეზოსა და სათავსების ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის #29/სქ დასკვნით, ექსპერტიზის #928/01/27 დასკვნით, ბოტანიკური ექსპერტიზის #986/01/20 დასკვნით, საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობის დადგენილებითა და სხვა მტკიცებულებებით უტყუარადაა დადგენილი მსჯავრდებულ

ნ. ჯ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს სასჯელი უნდა გაუნახევრდეს.

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე უნდა გაუნახევრდეთ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შექმნა, შენახვა ან გადაზიდვა.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ჯ-მ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება და შენახვა, "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონი მის მიმართ ვერ გავრცელდება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მეხუთე ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლზე.

ნ. ჯ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლით (2009 წლის მარტის ეპიზოდი) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 141-ე მუხლით (2009 წლის მაისის ეპიზოდი) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ნ. ჯ-ს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 28 ივნისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა**

### **განჩინება**

#729-აპ-09

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ე. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ს, მსჯავრდებულ მ. ჯ-ს, მსჯავრდებულ ს. მ-ს, მსჯავრდებულ პ. პ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. დ-ს, მსჯავრდებულ პ. პ-ს, მსჯავრდებულ ი. შ-ს, მსჯავრდებულ ი. შ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. ხ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით:

შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

დამტკიცდა 2008 წლის 24 ოქტომბერს განსასჯელ ე. მ-ი დადებული საპროცესო შეთანხმება.



თველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 4000 ლარი, 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა. ე. ს-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 19 თებერვლიდან.

მასვე საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 4000 ლარი.

დაზარალებულ ს. ტ-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. გამოძიების პროცესში ამოღებული მისი კუთვნილი თანხა - 3400 აშშ დოლარი უნდა დაუბრუნდეს ს. ტ-ს და დარჩენილ ნაწილში მსჯავრდებულებს - ი. შ-ს, პ. პ-ს, ს. მ-ს, მ. ჯ-ს და ე. ს-ს სოლიდარულად დაეკისრათ ს. ტ-ს სასარგებლოდ 4200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ საერთო წონით 1,86 გრამი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოში, გასანადგურებლად უნდა გადაიგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მ. ჯ-ს ამოღებული „მაკაროვის“ სისტემის იარაღი, ერთი მჭიდითა და რვა ვაზნით, რომლებიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოში, უნდა განადგურდეს დადგენილი წესით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ხოლო მისი „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონი თავისი სიმბარათით უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ სახელმწიფოს სასარგებლოდ, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ს. მ-ს კუთვნილი „მერსედეს-ბენცის“ მარკის ავტომანქანა, როგორც განზრახი დანაშაულის ჩადენის საშუალება, უნდა ჩამოერთვას სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ, ხოლო მისგან ამოღებული 10 ცალი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა - 1000 აშშ დოლარი, უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ს. ტ-ს; რევოლვერის ტიპის ხისტარიანი იარაღი ექვსი ცალი ვაზნით, რომლებიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოში, შემდგომი განკარგვის მიზნით, უნდა გადაეგზავნოს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების ცენტრის შეიარაღების განყოფილებას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ი. შ-ს ამოღებული 18 ცალი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა - 1800 აშშ დოლარი უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულ ს. ტ-ს, მოყავისფრო ტყავის საფულე, 10 ლარი, ერთი ხუთლარიანი, ორი ორლარიანი და ერთი ერთლარიანი კუპიურები, ასევე „მოტოროლას“ ფირმის ვერცხლისფერი მობილური ტელეფონის აპარატი უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ, სახელმწიფოს სასარგებლოდ, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ე. ს-ს ამოღებული „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონის ყუთი და შავი ფერის „სიმენსის“ ფირმის მობილური ტელეფონი უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოდ, სახელმწიფოს სასარგებლოდ, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ნ. ა-ს საცხოვრებელი სახლიდან და დაზარალებულების, ჯ. ტ-ს კუთვნილი ა/მანქანა „მერსედეს-მლ430“-დან, ამოღებული თითის კვლები, ცეცხლსასროლი იარაღიდან ამოღებული თითის კვლები, სიგარეტის ნამწვავების სუნის კვლები, ასევე, წითელზედაპირიანი საბანი, ვარდისფერი „ადიელა“, მუთაქა, მეორე საწოლიდან ამოღებული მოყავისფრო „ადიელა“ თეთრი ზოლებით, ორი ცალი ბალიში თავისივე შალითით და საბანი წითელი ზედაპირით უნდა დარჩეს განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში მისი განხილვის დასრულებამდე და შემდეგ დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

ინდ. მეწარმე „გ. გ-ს“ სავალუტო პუნქტში მომუშავე ი. ო-ს ამოღებული 400 აშშ დოლარი, 4 ცალი 100 აშშ დოლარიანი კუპიურა, გადაცემული ს. მ-ს მიერ, როგორც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება, უნდა ჩამოერთვას და დაუბრუნდეს დაზარალებულ ს. ტ-ს.

ექვმიტანილების - ე. ს-ს და ს. მ-ს მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენებების ჩანაწერები, ბრალდებულების - მ. ჯ-ს და ე. მ-ს მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენებების ჩანაწერები 2 კომპაქტ-ფირფიტასა და 5 ვიდეოკასეტაზე უნდა დარჩეს საქმესთან ერთად, განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში მისი განხილვის დასრულებამდე და შემდეგ განადგურდეს კანონით გათვალისწინებული წესით.

განაჩენის მიხედვით, ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის თებერვლის დასაწყისში ი. შ-მ განიზრახა ანგარების მოტივით, ფულის გამოძალვის მიზნით, რუსეთის ფედერაციაში, ქალაქ მოსკოვში, სამეწარმეო მიზნით მყოფ ს. ტ-საგან დიდი ოდენობით ფულადი თანხის - 100 000 აშშ დოლარის გამოძალვა მისი შვილის - ჯ. ტ-ს



თავისუფლების უკანონო აღკვეთის გზით. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობებს: ე. მ-ს, ე. ს-ს, მ. ჯ-ს, პ. პ-სა და ს. მ-ს, ასევე გამოიძიებთ დაუდგენელ მანდილოსანს, რომელიც ორჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის გატაცებისათვის.

ი. შ-ე შეუთანხმდა მათ, რომ ფულის გამოძალვის მიზნით უკანონოდ აღკვეთათ თავისუფლება ჯ. ტ-სათვის. შეთანხმებისამებრ, თანამზრახველი მანდილოსანი სატელეფონო კავშირის გამოყენებით უნდა გაცნობოდა ჯ. ტ-ს, მოეპოვებინა მისი ნდობა და დაენიშნა შეხვედრა წინასწარ დათქმულ ადგილას, საიდანაც თანამზრახველებს - ე. მ-ს, ე. ს-ს, მ. ჯ-სა და პ. პ-ს უშუალოდ უნდა გაეტაცათ ჯ. ტ-ი მისივე ავტომანქანით. შემდგომ ჯ. ტ-ს მამის - ს. ტ-საგან ფულის გამოძალვის მიზნით, სატელეფონო კავშირის მეშვეობით, სიტყვიერი მუქარა უნდა განეხორციელებინათ მ. ჯ-სა და ე. მ-ს, ხოლო ს. მ-ე ჯგუფის დანარჩენ წევრებს გადაადგილებაში დაეხმარებოდა თავისი კუთვნილი ა/მანქანა "მერსედეს-ბენცი" შეთანხმებისამებრ, ჯ. ტ-ი უნდა მიეყვანათ ცაგერის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, მ. ჯ-ს მიერ წინასწარ შერჩეულ საცხოვრებელ სახლში. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2008 წლის 12, 16 თებერვლის დროს მონაკვეთში, თანამზრახველი მანდილოსანი ტელეფონით დაუკავშირდა ჯ. ტ-ს, გაეცნო „ნ-დ“, შესთავაზა გაცნობა, რაზედაც დაითანხმა იგი. 2008 წლის 16 თებერვალს, დაახლოებით 20 საათზე, „ნ.“ ისევ დაუკავშირდა ჯ. ტ-ს და შეუთანხმდა შეხვედრაზე, დაახლოებით ერთ საათში, ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე ... საჯარო სკოლის წინ ჯ. ტ-ი, თავისი ა/მანქანა „მერსედეს-მლ430“, 21 საათზე მივიდა დათქმულ ადგილას, სადაც ს. მ-ს ავტომანქანით დახვდნენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: ე. მ-ი, ე. ს-ე, მ. ჯ-ე, პ. პ-ე, ი. შ-ე და ს. მ-ე. შეთანხმების შესაბამისად, ისინი ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებითა და მოკვლის მუქარით ჩაუსხდნენ ავტომანქანაში ჯ. ტ-ს, ძალის გამოყენებით გადაათრიეს ავტომანქანის უკანა სავარძელზე და მას გვერდით მიუსხდნენ, მარცხნიდან - ე. ს-ე, მარჯვნიდან - პ. პ-ე, საჭესთან დაჯდა მ. ჯ-ე, ხოლო მის გვერდით - ე. მ-ი. ჩამოაფარეს თავზე ნაქსოვი ქუდი და გაემგზავრნენ ცაგერის რაიონის მიმართულებით. გზაში ჯ. ტ-ი დააკავშირეს მამას - ს. ტ-ს, რომელმაც შვილის მეშვეობით გაიგო, რომ იგი გატაცებული იყო და მის გამოსახსნელად საჭირო იყო 100 000 აშშ დოლარის გადახდა. დიდთოვლობის გამო მათ ვერ შეძლეს გზის გაგრძელება და, ე. ს-ის მითითებით, მივიდნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მდებარე ნ. და ვ. ა-ს მიტოვებულ, ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში, სადაც მათ განაგრძეს ჯ. ტ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

ე. მ-ი და მ. ჯ-ე დაეუფლნენ რა ჯ. ტ-ს კუთვნილ „სამსუნგის“ ფირმის მობილურ ტელეფონს, 2008 წლის 16-18 თებერვლის დროს მონაკვეთში პერიოდულად უკავშირდებოდნენ ქ. მოსკოვში მყოფ ს. ტ-ს და შვილის მოკვლის მუქარით სთხოვდნენ 100 000 აშშ დოლარის გადახდას. ამასთან, მოსთხოვეს სხვადასხვა პირის დასახელება, რომელთაგანაც ისინი შეარჩევდნენ სანდო შუამავალს. ს. ტ-ს მიერ დასახელებული პირებიდან ბოროტმოქმედებმა ყურადღება შეაჩერეს მის მეგობარზე - ს. ჩ-ზე, რომელსაც დაუკავშირდა თავად ს. ტ-ი და სთხოვა დახმარება გამტაცებლებისათვის ფულის გადაცემაში. 2008 წლის 18 თებერვალს, სატელეფონო საუბრის დროს, გამტაცებლები შეუთანხმდნენ ს. ტ-ს გამოსასყიდი თანხის ოდენობაზე, რამაც საბოლოოდ შეადგინა 70 000 აშშ დოლარი, საიდანაც ს. ტ-ი პირველად 10 000 აშშ დოლარს გადასცემდა, ხოლო თანხის დარჩენილ ნაწილს - მომდევნო დღეებში.

2008 წლის 17 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით ე. მ-ი და მ. ჯ-ე საღამოს საათებში სისტემატურად მიდიოდნენ წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მდებარე ა-ს მიტოვებულ სახლში, რათა გაეგოთ თავისუფლებადაკვეთილი ჯ. ტ-ს მდგომარეობა და ს. ტ-თან მოლაპარაკების შედეგების შესახებ ეცნობებინათ ე. ს-სა და პ. პ-სათვის. ამ დროის განმავლობაში ისინი წინასწარი შეთანხმების შესაბამისად გადაადგილდებოდნენ ს. მ-ს კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანით.

2008 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 22 საათზე, ქ. ქუთაისში ე. მ-მ და მ. ჯ-მ შუამავალ ს. ჩ-ს მეშვეობით მიიღეს ს. ტ-ს გამოგზავნილი 10000 აშშ დოლარი. მანამდე კი ისინი ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდნენ ე. ს-სა და პ. პ-ს და უთხრეს, რომ ჯ. ტ-ი მიეყვანათ ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე. ფულადი თანხის მიღებისთანავე გამტაცებლებმა ჯ. ტ-ი გაათავისუფლეს და ფეხით გაუშვეს.

თანხის აღების შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ ე. მ-ს დის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. ქუთაისში, ..., სადაც ი. შ-მ პირადად გაანაწილა ს. ტ-საგან გამოძალული თანხა - 10000 აშშ დოლარი, საიდანაც პირადად მას და ასევე ს. მ-ს, მ. ჯ-ს, ე. ს-სა და ე. მ-ს შეხვდათ 1400 აშშ დოლარი, ხოლო პ. პ-ს - 1600 აშშ დოლარი. თანხის განაწილების შემდეგ ისინი დაიშალნენ.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, მას შემდეგ, რაც გამოირიცხა ჯ. ტ-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე, 2008 წლის 19 თებერვალს ქ. ქუთაისში, საქართველოს შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: ე. ს-ე, მ. ჯ-ე, ი. შ-ე, ე. მ-ი და ს. მ-ე.

ი. შ-ს საძინებელ ოთახში მისივე კუთვნილი საფულიდან ამოღებულ იქნა თანხა - 1800 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო პირადი ჩხრეკისას მას აღმოაჩნდა 7 ე.წ. „ჩეკად“ დაფასობული, კუსტარული წესით დამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი - წონით 0,616 გრამი, რაც მან უკანონოდ შეიძინა და შეინახა.

ს. მ-ს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა ს. ტ-საგან მიღებული თანხის ნაწილი - 1400 აშშ დოლარი და ცეცხლსასროლი იარაღი 6 საბრძოლო ვაზნით, რაც მან მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა, შეინახა და ატარა.

ე. ს-საგან პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 0,6466 გრამი, რაც მან უკანონოდ შეიძინა და შეინახა.

ე. მ-საგან ამოღებული იქნა ს. ტ-საგან მიღებული თანხის ნაწილი - 1400 აშშ დოლარი და 80 ევრო, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით 0,5974 გრამი, რაც მან უკანონოდ შეიძინა და შეინახა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააკრედიტო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ე. ს-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. კ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ე. ს-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო დანარჩენ ნაწილში - სასჯელის შემსუბუქებას.

კასატორის განმარტებით, განაჩენი სსკ-ის 143-ე და 181-ე მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის ნაწილში არის უკანონო და ზედმეტად მკაცრი, ე. ს-ს მისჯილი აქვს ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სანქციის მაქსიმუმი მაშინ, როცა იგი დაკავებისთანავე აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს, თანამშრომლობდა წინასწარ გამოძიებასთან; სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ე. ს-ს ოჯახური მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები.

კასატორის მოსაზრებით, განაჩენი უნდა გაუქმდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილში. ე. ს-ს სამყოფელში ჩატარებული ჩხრეკა სრულებით ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს. მას ნარკოტიკი არ ჰქონია. ჩხრეკის ოქმი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. სხვა სახის მტკიცებულება მის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე ბრალდებას არ წარმოუდგენია.

მსჯავრდებული მ. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას, ხოლო დანარჩენ ნაწილში - სასჯელის შემსუბუქებას.

მსჯავრდებული ს. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს გამართლებას, ვინაიდან მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია.

მსჯავრდებულ პ. პ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. დ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს პ. პ-ს გამართლებას, ვინაიდან მას არ ჩაუდენია არანაირი ინკრიმინირებული ქმედება. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ვერც წინასწარმა და ვერც სასამართლო სამსჯავრო გამოძიებამ ვერ მოიპოვა პირდაპირი და ერთმანეთთან შეჯერებული უტყუარი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ პ. პ-მ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულები.

მსჯავრდებული პ. პ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, არ გამომდინარეობს წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეულ და განხილულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

მსჯავრდებული ი. შ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს გამართლებას.

მსჯავრდებულ ი. შ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. ხ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ი. შ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას. კასატორის განმარტებით, ი. შ-ს მის მიმართ ინკრიმინირებულ დანაშაულებრივ ქმედებებში ბრალი არ მიუძღვის, იგი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ოპერატიული, ისე ამავე უწყების საგამომიებო და საექსპერტო დაწესებულების ექსპერტის უკანონო ქმედებისა და ამასთან, მოწმეების ცრუ ჩვენებების მსხვერპლს, რაც სრულიად დადასტურდა აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას. გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან როგორც წინასწარი, ისე ორივე ინსტანციის სასამართლო გამოძიება ჩატარდა ცალმხრივად და არასრულად, სასამართლოს არ გამოუთხოვია მტკიცებულებები, არ დაუნიშნავს განმეორებითი ქიმიური ექსპერტიზა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია დასაბუთებული გამამტყუნებელი განაჩენის

დადგენა. გასაჩივრებული განაჩენი ი. შ-ს დამნაშავედ ცნობის თაობაზე არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები სრული მოცულობით, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ი. შ-სა და მისი ინტერესების დამცველის საკასაციო საჩივრების მოტივს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ი. შ-მის უდანაშაულობის შესახებ, რადგან გასაჩივრებული განაჩენი ეყრდნობა საქმეში არსებულ არაერთ უტყუარ მტკიცებულებას, მათ შორის: დაკავების ოქმს, მოწმეების - ზ. ა-ს, ბ. ნ-ს, ზ. კ-სა და სხვათა ჩვენებებს, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, რომელთა შესახებ ამომწურავად იმსჯელა სასამართლომ და ამ ნაწილში ი. შ-მის მიმართ დაადგინა დასაბუთებული განაჩენი.

ამასთან, პალატა მიიჩნევს, რომ ი. შ-ს ბრალდება იმ ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მან თითქოს ჩაიდინა სსკ-ის 143-ე და 181-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, არ არის დადასტურებული და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან; გარდა ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ე. მ-ს ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებისა, საქმის მასალებში არ მოიპოვება სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რაც უტყუარად დაადასტურებდა ი. შ-ს მიერ ზემოაღნიშნულ დანაშაულთა ჩადენას, კერძოდ:

წარდგენილ ბრალდებაში ი. შ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ და საერთოდ უარყო რაიმე დანაშაულებრივი კავშირი დანარჩენ მსჯავრდებულებთან.

საქმის წინასწარი გამოძიებისას, ბრალდებულის სახით დაკითხვისას, ე. მ-მ აჩვენა, რომ 2008 წლის 15 თებერვალს იგი შეხვდა მეგობარ ს. მ-ს და მ. ჯ-ს ამ უკანასკნელის საცხოვრებელ ბინასთან. მათ შეურთდნენ ნაცნობები - ე. ს-ე, ი. შ-ე და პ. პ-ე. ისინი საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ჩასხდნენ ს. მ-ს ა/მანქანაში, სადაც საუბარი ჩამოვარდა წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მცხოვრები ჯ. ტ-სათვის თანხის გამოძალვის შესახებ, ეს ინიციატივა წამოვიდა ი. შ-საგან.

ბრალდებულ ე. მ-ს ჩვენების საფუძველზე, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ი. შ-ე არის დანაშაულის ორგანიზატორი, კერძოდ, მან განიზრახა ს. ტ-საგან დიდი ოდენობით თანხის გამოძალვა, რისთვისაც ამ დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით გადაწყვიტა ამ უკანასკნელის შვილის - ჯ. ტ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა. ვინაიდან განზრახული დანაშაულის განხორციელებისათვის აუცილებელი იყო სხვა პირთა დახმარება, ი. შ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ე. ს-ს, პ. პ-ს, მ. ჯ-ს, ე. მ-სა და გამოძიებით დაუდგენელ მანდილოსანს. მას შემდეგ, რაც გამოძიებით დაუდგენელმა მანდილოსანმა დაითანხმა ჯ. ტ-ი შეხვედრაზე, დათქმულ ადგილას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - ე. ს-ე, მ. ჯ-ე, პ. პ-ე და ე. მ-ი მიიყვანეს ი. შ-მ და ს. მ-მ ამ უკანასკნელის კუთვნილი ა/მანქანით. ჯ. ტ-ს ა/მანქანაში ჩაუსხდნენ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, მას გვერდით მიუსხდნენ მარცხნიდან - ე. ს-ე, მარჯვნიდან - პ. პ-ე, საჭესთან დაჯდა მ. ჯ-ე, ხოლო მის გვერდით - ე. მ-ი. ჯ. ტ-ი მიიყვანეს წყალტუბოს რაიონის სოფელ ... მდებარე ნ. და ვ. ა-ს მიტოვებულ ერთსართულიან საცხოვრებელ სახლში. 2008 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 22 საათზე, ქ. ქუთაისში, ე. მ-მ და მ. ჯ-მ შუამავალ ს. ჩ-ს მეშვეობით მიიღეს ს. ტ-ს გამოგზავნილი 10000 აშშ დოლარი. მანამდე კი ისინი ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდნენ ე. ს-სა და პ. პ-ს და უთხრეს, რომ ჯ. ტ-ი მიეყვანათ ქ. ქუთაისში, ... ქუჩაზე მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე. თანხის მიღებისთანავე გამტაცებლებმა ჯ. ტ-ი გაათავისუფლეს და ფეხით გაუშვეს. თანხის აღების შემდეგ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები შეიკრიბნენ ე. მ-ს დის საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. ქუთაისში, ... სადაც ი. შ-მ პირადად გაანაწილა ს. ტ-საგან გამოძალვით თანხა - 10000 აშშ დოლარი, საიდანაც პირადად მას და ასევე ს. მ-ს, მ. ჯ-ს, ე. ს-სა და ე. მ-ს შეხვდათ 1400 აშშ დოლარი, ხოლო პ. პ-ს - 1600 აშშ დოლარი. თანხის განაწილების შემდეგ ისინი დაიშალნენ.

აღნიშნული საბრალდებო დასკვნიდან არ ჩანს, კონკრეტულად რა როლი შეასრულა და სად იყო ი. შ-ე ჯ. ტ-ს გატაცების მომენტში და გატაცების შემდეგ. მხოლოდ საბრალდებოს დასკვნით, ასევე I-ლი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით არის ი. შ-ე ამ დანაშაულებრივი ქმედების ორგანიზატორი, რომელმაც გაანაწილა მითითებული თანხა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ე. მ-მ უარი განაცხადა წინასწარ გამოძიებაში მიცემული სხენებული ჩვენების გამოქვეყნებაზე, რითაც ფაქტობრივად დასტურდებოდა ზემოაღნიშნული გარემოებები და ი. შ-ე აღარ დაასახელა ორგანიზატორად, პირიქით - მან აჩვენა

ნა, რომ ეს დანაშაული დაიგეგმა ა. ფ-ს "ორმოცის" სუფრაზე. საქმის "მიმცემი" იყო რ. გ-ი, იგივე "ხ.", საუბარი ჯ. ტ-ს გატაცებაზე პირველად პ. პ-მ წამოიწყო. ი. შ-ე უშუალოდ დაზარალებულ ჯ. ტ-ს გატაცების დღეს სხვებთან ერთად იმყოფებოდა ... სკოლასთან და მერე ფულის გაყოფისას - მისი დის ბინაში.

ე. მ-მ აღნიშნული ჩვენების სისწორე დაადასტურა სააპელაციო სასამართლოშიც.

ე. მ-ს წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები ეწინააღმდეგება არა მარტო მის მიერ 1-ლი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლო სხდომებზე მიცემულ ჩვენებებს, არამედ, ასევე, მსჯავრდებულების - ს. მ-ს, მ. ჯ-ს, პ. პ-სა და ე. ს-ს მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომლებმაც ასევე უარყვეს თავიანთ ჩვენებებში ი. შ-ს მონაწილეობა ჯ. ტ-ს გატაცებაში.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოებმა უგულებელყვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნები საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვის თაობაზე ი. შ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე და 181-ე მუხლებით წარდგენილი ბრალდების ეპიზოდებში. აღნიშნულ დანაშაულში ი. შ-ს, როგორც ორგანიზატორის, მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეზე არ არსებობს. რაც შეეხება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ი. შ-მ გაანაწილა დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხა, გარდა მსჯავრდებულ ე. მ-ს ჩვენებისა, საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით არ დასტურდება. ი. შ-ს მსჯავრდებას საფუძვლად დაედო მხოლოდ ამავე ბრალდების საქმეზე მსჯავრდებულ ე. მ-ს მიერ მიცემული არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი, მამხილებელი ჩვენებები მაშინ, როდესაც გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ეჭვის გამომრიცხავ, ურთიერთშეთანხმებულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

მსჯავრდების ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი არ შეესაბამება სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა და 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ეპიზოდებში ი. შ-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამორიცხოს ამ მუხლებით დანიშნული სასჯელები, მითითება დამატებით სასჯელად ჯარიმის დანიშვნისა და ი. შ-ს მიმართ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში თანხის დაკისრების თაობაზე.

მსჯავრდებულ ი. შ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება მსჯავრდებულ პ. პ-ს მიმართ სსკ-ის 236-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებას, საკასაციო პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას და თვლის, რომ მსჯავრდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით საქმეში არ არის წარმოდგენილი ბრალეულობის დამადასტურებელი არც ერთი უტყუარი მტკიცებულება, კერძოდ, საქმეში არ მოიპოვება პ. პ-ს პირადი ჩხრეკის, საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისა და ამოღების ოქმები, ასევე სხვა რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ჩხრეკის ჩატარებისა და, შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღის ან საბრძოლო მასალის ამოღების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პ. პ-ს მიმართ სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით მსჯავრდების ეპიზოდში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამორიცხოს ამ მუხლით დანიშნული სასჯელები.

მსჯავრდებულ პ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით უნდა მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა - 5000 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მსჯავრდებულებს - ე. ს-ს, მ. ჯ-ს, ს. მ-ს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მათი ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩაიდინეს ბრალად შერაცხული ქმედებები. მსჯავრდებულების - ე. ს-ს, მ. ჯ-სა და ს. მ-ს ბრალეულობა დადასტურებულია ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულების - ჯ. ტ-ს, ს. ტ-ს ჩვენებებით, მოწმეების - ზ. კ-ს, ვ. მ-ს, შ. კ-ს, ზ. ა-ს, ბ. ნ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, ბალისტიკური, დაქტილოსკოპიური, ქიმიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მსჯავრდებულების - ე. ს-ს, მ. ჯ-სა და ს. მ-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდებები. სააპელაციო სასამართლომ სწო-

რად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებები და არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების - ე. ს-ს, მ. ჯ-სა და ს. მ-ს მიერ ჩადენილი ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია მათთვის დანიშნული სასჯელების შემსუბუქება, კერძოდ:

მსჯავრდებულ ს. მ-ს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმსუბუქდეს და მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით უნდა მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ე. ს-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით უნდა მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ივლისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულ ი. შ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“, მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

მსჯავრდებულ ი. შ-ს გასაჩივრებული განაჩენიდან ამოერიცხოს მითითება დამატებით სასჯელად ჯარიმის - 4000 ლარის დანიშვნის შესახებ.

გაუქმდეს განაჩენი მსჯავრდებულ ი. შ-ს მიმართ სამოქალაქო სარჩელის ნაწილში თანხის დაკისრების თაობაზე.

მსჯავრდებულ ი. შ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მსჯავრდებულ პ. პ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში.

მსჯავრდებულ პ. პ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ს. მ-ს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუმსუბუქდეს და მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის

მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით უნდა მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ე. ს-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით მიესაჯოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ და მესამე ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით საბოლოოდ მას მოსახდელად განესაზღვროს 21 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## თავისუფლების უკანონო აღკვეთა

### განჩინება

#739-აპ-09

16 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ც-ს დამცველის, ადვოკატ მ. ფ-ს საკავშირეო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ც-ე, ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ზ. ც-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწყო 2008 წლის 9 აგვისტოდან - დაკავების დღიდან.

აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულ იქნა აგრეთვე რ. ჯ-ე მის დაუსწრებლად, რომელსაც იმავე დანაშაულთა ჩადენისათვის საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 19 წლისა და 8 თვის ვადით.

განაჩენით ზ ც-ა და რ. ჯ-ს მსჯავრი დაედოთ ისეთ დანაშაულთა გამო, როგორცაა: თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, და ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზ. ც-მ და რ. ჯ-მ, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, გადაწყვიტეს ტ. ი-ათვის უკანონოდ აღკვეთათ თავისუფლება, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობისა და ასეთი ძალადობის მუქარით. განზრახვის განხორციელების მიზნით, 2008 წლის 15 თებერვალს, დაახლოებით 23 საათზე, ზ. ც-ე ქობულეთის რაიონის სოფელ ... შეხვდა ტ. ი-ს და ამ უკანას-

კნელის სარგებლობაში არსებული „...“ მარკის, ... სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანით მივიდნენ რ. ჯ-ის საცხოვრებელ სახლში, მდებარე ქ. ...-ში, რის შემდეგ რ. ჯ-ე, ზ. ც-ე და ტ. ი-ი გაემართნენ ქ. მიმართულებით. დაახლოებით 1 საათზე ქობულეთის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ტ. ი-ს სთხოვეს ავტომანქანის გაჩერება, მაგრამ ზ. ც-მ და რ. ჯ-მ წინასწარი შეთანხმებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ტ. ი-ს აღუკვეთეს თავისუფლება და არ მისცეს ავტომანქანის გაჩერების საშუალება. რ. ჯ-ს მითითებით ისინი გადავიდნენ ქ. ..., ... გამზირის #... სახლის მოპირდაპირედ, ზღვის სანაპიროზე, სადაც მას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მათ თავისუფლებადაკვეთილი ტ. ი-ი ჩასვეს აღნიშნული ავტომანქანის უკანა სალონში, რის შემდეგაც მივიდნენ ქ. ... მდებარე „...“ სასაფლაოზე, სადაც რ. ჯ-ე და ზ. ც-ე, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით დაეუფლნენ: ტ. ი-ს სარგებლობაში არსებულ „...“ მარკის ავტომანქანას, ღირებულს 8000 ლარად: „...“ ფირმის მობილურ ტელეფონს, ღირებულს 90 ლარად; ქურთუკს, ღირებულს 250 ლარად და ფულად თანხას - 1000 აშშ დოლარის ოდენობით. ამის შემდეგ მათ ტ. ი-ი დატოვეს ქობულეთის რაიონის სოფელ ა-ი, მისი საცხოვრებელი სახლის მახლობლად, ხოლო თვითონ მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ნივთები წაიღეს და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 14380 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ზ. ც-მ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივებით: დაზარალებული ტ. ი-ი 2008 წლის 15 თებერვალს მას თვითონ დაუკავშირდა თავისი მობილური ტელეფონით. სადამოსაც თვითონ მიაკითხა სოფელ ..., რასაც ადასტურებენ ... მცხოვრები მოწმეები, მათ შორის - იმ ფაქტსაც, რომ ტ. ი-ი მასთან მისვლამდე მანქანით მოცურდა და თხრილში ჩავარდა; საფუძველსაა მოკლებული სასამართლოს მითითება იმ ფაქტზე, რომ თითქოს მან (ზ. ც-მ) და რ. ჯ-მ ტ. ი-ს პატრულის მითითებაზე, არ მისცეს მანქანის გაჩერების საშუალება, ხოლო შემდეგ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით აღუკვეთეს თავისუფლება; სასამართლო გამოძიებისას ტ. ი-ა ვერ დააკონკრეტა, თუ რაში გამოიხატებოდა მათი მხრიდან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ის იჯდა საჭესთან, ჰქონდა თავისი სურვილისამებრ გადაადგილების საშუალება და თუ ისინი მის მიმართ რაიმე ძალადობას ახორციელებდნენ, მით უფრო უნდა გაეჩერებინა მანქანა პატრულის მითითებაზე და ეთხოვა დახმარება; ასევე არ ჩაუდენიათ მათ ტ. ი-ის მიმართ ყაჩაღობა. მცდარია მითითება იმაზე, რომ ის (ზ. ც-ე) ტ. ი-ს თითქოს დანით დაემუქრა. სასამართლო პროცესზე ტ. ი-მა ვერ აღწერა დანის მონაცემები. იგი აშკარად ცრუობს. ის ასევე ცრუობს, რომ თითქოსდა ისინი სთხოვდნენ მას დაეწერა, რომ მათთვის მისაცემი ჰქონდა 10 000 აშშ დოლარი და ვალში მანქანას აძლევდა, ვინაიდან შუალდამით არც „პასტა“ და ფურცელი ჰქონდათ და, მით უმეტეს, იცოდნენ, რომ ავტომანქანა ტ. ი-ს საკუთრება არ იყო, იგი ეკუთვნოდა კ. ს-ს; რაც შეეხება 1000 აშშ დოლარს, დარწმუნებულია, რომ ტ. ი-ს აღნიშნული თანხა არ ჰქონია, რადგან მისი ოჯახი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობს, არანაირი შემოსავალი არ აქვთ და დაუჯერებელია, ტ. ი-ი ამდენ თანხას ჯიბით ატარებდა; სასამართლო პროცესზე მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია აღნიშნული თანხა დაკარგა და არ შეუძლია იმის დადასტურება, თუ რა ვითარებაში დაკარგა; რაც შეეხება რუხი ფერის „დუბლიონკას“ და შავი ფერის მოკლე ქურთუკს, პირველი არის რ. ჯ-ის საკუთრება, რომელიც მან ათხოვა ტ. ი-ს, ხოლო მეორე, შავი ფერის მოკლე ქურთუკი იყო კ. ს-ს საკუთრება.

აღნიშნული სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ვინაიდან მიიჩნია უსაფუძვლოდ, ხოლო ქობულეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ც-ის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ზ. ც-ის დამცველმა, ადვოკატმა მ. ფ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება. ადვოკატი თავის მოთხოვნას ასაბუთებს იმ მოტივით, რომ ბრალდება და გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულ ტ. ი-ის წინააღმდეგობრივ ჩვენებებსა და ასევე ბრალდების სხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ზ. ც-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულ ზ. ც-ის მიმართ უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორის პოზიციას, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულ ზ. ც-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინაიდან, კასატორის აზრით, გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება მხოლოდ დაზარალებულ ტ. ი-ის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში მიცემულ წინააღმდეგობრივ ჩვენებებს, რომლებიც ასევე ეწინააღმდეგება სხვა მტკიცებულებებს. კასატორის ასეთი პოზიცია არ შეესაბამება საქმეში არსებულ მასალებს, რომლებშიც წარმოდგენილია საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც იძლევა კანონიერ საფუძველს ზ. ც-ის მსჯავრდებისათვის. მსჯავრდებულთა მიერ დაზარალებულ ტ. ი-ათვის უკანონო თავისუფლების აღკვეთის, მისივე ცემის, ასევე მის მფლობელობაში არსებული, „...“ მარკის ავტომატისა და სხვა პირადი ნივთების გატაცების ფაქტები დადასტურებულია არა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებებით, არამედ საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებითაც - ნეიტრალურ მოწმეთა ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ნივთმტკიცებებითა და ნაწილობრივ თვით მსჯავრდებულ ზ. ც-ის ჩვენებითაც. ამდენად, არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი მსჯავრდებულ ზ. ც-ის უდანაშაულოდ ცნობისა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისათვის.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ზ. ც-ის მსჯავრდებისას სრულად არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18, მე-19 და 496-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები და საფუძვლიანად არ შეამოწმა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობდა თუ არა მსჯავრდებულ ზ. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისა და ყაჩაღობად შეფასებისათვის. მართალია, მსჯავრდებულმა ზ. ც-მ თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტში დაზარალებულ ტ. ი-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა - სცემა მას, აგრეთვე ემუქრებოდა სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, მაგრამ ამ გარემოებების თაობაზე დაზარალებულ ტ. ი-ის მიერ მიცემული ჩვენებების შინაარსი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ეს ძალადობა და მუქარა მსჯავრდებულს არ გამოუყენებია დაზარალებულის ქონების დასაუფლებლად, ეს ქმედებები მან ჩაიდინა პირადი შურისძიების მოტივით, რომ დაზარალებულისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემდეგ მისი ქონების დასაუფლებლად ძალადობის გამოყენების საჭიროება აღარც არსებობდა. საქმის მასალების ობიექტური შეფასებით ასევე მკაფიოდ იკვეთება ის გარემოება, რომ მსჯავრდებულ ზ. ც-ეს დაზარალებულ ტ. ი-ის ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების განზრახვა გაუჩნდა ამ უკანასკნელისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და მისი ცემის შემდეგ, ხოლო დაზარალებულ ტ. ი-ის მფლობელობაში არსებულ ავტომანქანასა და მის კუთვნილ მოძრავ ნივთებს მსჯავრდებულ ზ. ც-ე აშკარად დაეუფლა, რომელთა ერთობლივი ღირებულება შეადგენს დიდ ოდენობას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს იმას, რომ მსჯავრდებულმა ზ. ც-მ დაზარალებულ ტ. ი-ს მიმართ თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან ერთად ჩაიდინა არა ყაჩაღობა, არამედ - მარცვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და დიდი ოდენობით, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, აგრეთვე - ცემა, რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, ე.ი. დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, რისთვისაც მას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას შედეგად მოჰყვა საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის შეცვლის საფუძველია.

ამრიგად, საკასაციო პალატის დასკვნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ზ. ც-ს უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქარ-



თველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, აგრეთვე - იმავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და ამ დანაშაულებებისათვის მას სასჯელის ზომებიც აღნიშნული მუხლების შესაბამისი სანქციების ფარგლებში უნდა განესაზღვროს, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ჩადენილი ქმედებების სიმძიმე და თვით მსჯავრდებულ ზ. ც-ის პიროვნული მახასიათებლები, აგრეთვე, საქმის სხვა გარემოებები, კერძოდ ის, რომ მსჯავრდებულ პირველად არის სამართალში, ამასთან, მან ანაზღაურა დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი - ნებაცხოფლობით დაუბრუნა დაზარალებულს მისთვის წართმეული მოძრავი ნივთები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ზ. ც-ის დამცველის, ადვოკატ მ. ფ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ ზ. ც-ეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდება, ამ ნაწილში მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ამ დანაშაულებებისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. აღნიშნული სასჯელები, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შეიკრიბოს ზ. ც-ის მიმართ იმავე განაჩენით საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე დანიშნულ სასჯელთან - 7 წლით თავისუფლების აღკვეთასთან ერთად, რის გამოც მსჯავრდებულ ზ. ც-ეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 15 წლის ვადით და ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ზ. ც-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ**

#### **გამომალვა**

#752-აპ-09

28 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-იანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აგვისტოს განაჩენით ა. კ-იანს ბრალი დაედო ყაჩაღობაში, ე. ი. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 29 ივლისს ა. კ-იანმა განიზრახა, ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდა სხვის ქონებას. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი, დაახლოებით 15:45 საათზე, მივიდა თბილისში, სამარშრუტო ტაქსების ბოლო გაჩერებაზე, სადაც ბრიგადირ ზ. ს-შვილს სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოსთხოვა ფული, ამასთან, მას მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. ზ. ს-შვილმა ა. კ-იანს გაუწია წინააღმდეგობა და შეძლო მისგან თავის დაღწევა, რის შემდეგაც ა. კ-იანი პოლიციის მუშაკებმა დააკავეს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. კ-იანის დამცველმა, ადვოკატმა თ. ქ-ძემ. აპელანტი თავის საჩივარში მიუთითებდა, რომ განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, რადგან მასში ჩამოყალიბებული სასამართლოს დასკვნები შეუსაბამოა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტმა თავის გამოსვლაში დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, სახელდობრ, მან მიუთითა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, ა. კ-იანს ჩადენილი აქვს გამოძალვა და არა - ყაჩაღობა, რის გამოც მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (მითითებული რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველ ნაწილზე (2004 წლის 24 ივნისის რედაქცია). პარალელურად აპელანტმა მოითხოვა, რომ თუ სასამართლო დანაშაულის კვალიფიკაციას არ შეცვლის, მაშინ ა. კ-იანს შეუმცირდეს დანიშნული სასჯელი, რომლის სამ მეოთხედზე მეტი უკვე მოხდილი აქვს და იგი გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა და 2009 წლის 8 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიმართ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. კ-იანმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავის საჩივარში, არ ეთანხმება რა სასამართლოს დასკვნებს მისი ბრალეულობის თაობაზე, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სრულიად უსაფუძვლოდ გაიზიარა ბრალდება მის მიერ ყაჩაღობის ჩადენის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში საამისოდ არ მოიპოვება კანონიერი მტკიცებულებები. ორივე განაჩენი ემყარება ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებებს, დაზარალებულის ჩვენებები აშკარად წინააღმდეგობრივია, რის გამოც, ჩნდება რა საფუძვლიანი ეჭვი მის მიერ ყაჩაღობის ჩადენასთან მიმართებით, საპროცესო კანონის თანახმად, სასამართლოს ეჭვი უნდა გადაეწყვიტა ა. კ-იანის სასარგებლოდ. ამასთან, კასატორის აზრით, საქმის განხილვისას სასამართლო არ იყო ობიექტური და მიუკერძოებელი, ვინაიდან სასამართლო გამოძიება ჩაატარა ტენდენციურად, მოხდა საპროცესო დარღვევები, რამაც განაპირობა მის მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანა. საბოლოოდ კასატორი ითხოვს მისი ბრალდების თაობაზე კანონიერი გადაწყვეტილების მიღებასა და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას, რომლის სამ მეოთხედზე მეტი უკვე მოხდილი აქვს.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ა. კ-იანმა მხარი დაუჭირა თავისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მას მითითებული ჰქონდა აღნიშნულ საჩივარში. ამავე დროს ა. კ-იანმა განმარტა: მართალია, მას კონფლიქტი მოუხდა დაზარალებულ ზ. ს-შვილთან, მაგრამ ეს კონფლიქტი დაიწყო იმის გამო, რომ მას დაზარალებულმა უარი უთხრა უფასოდ მგზავრობაზე. ამავე დროს მან ზ. ს-შვილს მოსთხოვა, რომ მისთვის პერიოდულად მიეცა გარკვეული თანხა. მან ხელი გაართვა დაზარალებულ ზ. ს-შვილს, მაგრამ იმ წუთებში ფულის მიცემა არ მოუთხოვია. კონფლიქტის დროს დანა კი ამოიღო, მაგრამ ის იყო დაკეცილი და დაზარალებულს დანის დარტყმით არ დამუქრებია, რის გამოც ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში მის მიმართ ცვლილების შეტანას, სასჯელის შემსუბუქებასა და პატიმრობიდან განთავისუფლებას.

დაზარალებულმა ზ. ს-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ მსჯავრდებული ა. კ-იანი არასწორ ჩვენებას იძლევა. სინამდვილეში მსჯავრდებულმა მას ფული მოსთხოვა დანის მუქარით, სახეში მუშტი დაარტყა და რომ არ გაქცეულიყო, შეიძლება იმ დანით დაეჭრა კიდევ. დაზარალებულმა ასევე მიუთითა, რომ მსჯავრდებული მისგან მოითხოვდა იმ ფულის მიცემას, რაც თან ჰქონდა და მომავალში - ყოველთვიურად 200 ლარის გადაცემას. საბოლოოდ დაზარალებულმა ზ. ს-შვილმა განაცხადა, რომ სასამართლო პალატას ანდობს გადაწყვეტილების მიღებას.

პროცესში მონაწილე პროკურორმა ლ. ქ-შვილმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივარს და აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის ჩვენება არასწორია, ხოლო მისი მოთხოვნა - უსაფუძვლო, რადგან საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ ყაჩაღობის ჩადენას. ამავე დროს, აღნიშნა პროკურორმა ლ. ქ-შვილმა, მსჯავრდებული სასამართლოს წინაშე არ

არის გულწრფელი, რის გამოც მისი მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქებაზე დაუსაბუთებელია. სახელმწიფო ბრალმძებელს მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და სწორად განსაზღვრა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ლ. ქ-შვილი შუამდგომლობს საკასაციო პალატის წინაშე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიმართ დარჩეს უცვლელად, ხოლო კასატორს უარი ეთქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივები და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებსა და სამართლებრივ შეფასებებს მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიერ ჩადენილი ქმედების თაობაზე, რადგან ისინი არ შეესაბამება იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც რეალურად იკვეთება საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებიდან გამომდინარე. აქ მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: ბრალდება და გამამტყუნებელი განაჩენები ეყრდნობა დაზარალებულ ზ. ს-შვილის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში მიცემულ ჩვენებებს, რომელთა შორის, ცალკეულ, მაგრამ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვან დეტალებში არსებობს არსებითი წინააღმდეგობები, რაც სასამართლოებმა განაჩენის დადგენისას არ გაითვალისწინეს. წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებაში დაზარალებული ზ. ს-შვილი აღნიშნავს, რომ სამარშრუტო მიკროავტობუსების გაჩერებაზე მასთან მივიდა ა. კ-იანი, რომელმაც მოსთხოვა, რომ "მარშრუტკის ხაზიდან" მისთვის ყოველთვიურად 200 ლარი მიეცა, რაზეც მან უარი განუცხადა. ამის გამო ა. კ-იანი მას დანით დაემუქრა, მაგრამ მაინც გაუწია წინააღმდეგობა, რა დროსაც ა. კ-იანმა მას დანის ტარი ჩაარტყა სახეში, შემდეგ კისერში ჩაავლო ხელი და ბრძანების კილოთი უთხრა, რომ მისთვის ფული მიეცა. ამ ჩვენებაში დაზარალებული არ აზუსტებს და არც გამომძიებელი ეკითხება, რა ფულის მიცემაზე იყო საუბარი და რა იგულისხმებოდა: ზემოხსენებული 200 ლარი, თუ - სხვა ფული, რომელიც დაზარალებულს შეიძლებოდა თან ჰქონოდა. შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაზარალებული ზ. ს-შვილი თავის ჩვენებაში ჯერ ამბობს, რომ ა. კ-იანმა დანის მუქარით მოსთხოვა 200 ლარის მიცემა, ხოლო შემდეგ იქვე ამატებს, რომ ა. კ-იანმა მას დაუსახელა რიცხვი და უთხრა, რომ ყოველი თვის ბოლოს, ამ რიცხვში მიუტანდა 200 ლარს. შემდეგ დაზარალებული თავის ჩვენებაში აგრძელებს აღნიშნულ მომენტზე საუბარს და ამბობს: "ა. კ-იანმა მითხრა, მომეცი ფული - 200 ლარიო და თან დააყოლა, რომ ყოველი თვის ბოლოს მისთვის უნდა მიმეტანა 200-200 ლარი". ამის შემდეგ დაზარალებული იმავე ჩვენებაში შეკითხვაზე პასუხობს, რომ ა. კ-იანი მისგან 200 ლარს ითხოვდა ბრძანების კილოთი და თან ემუქრებოდა ყელის გამოჭრით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ არც ამ ჩვენებაშია დაზუსტებული და გარკვეული, ა. კ-იანი დაზარალებულისგან მხოლოდ ყოველთვიურად 200 ლარის მიცემას ითხოვდა, თუ ამასთან ერთად იმ ფულის მიცემასაც სთხოვდა, რაც მას თან ჰქონდა იმ მომენტში. ამასთან, გაუგებარია თავდამსხმელის მიერ ყაჩაღობისას დასაუფლებლად გამიზნული თანხის ოდენობის დასახელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მას შემდეგ, რაც აპელანტმა დააზუსტა თავისი მოთხოვნა და მიუთითა, რომ ა. კ-იანის მიერ ჩადენილია გამოძალვა და, შესაბამისად, მოითხოვა მის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა, დაზარალებულმა ზ. ს-შვილმა, რომელიც ხელახლა დაიკითხა, სცადა დაეზუსტებინა ზოგიერთი გარემოება, მაგრამ მისი ახალი ჩვენება აღმოჩნდა აშკარად წინააღმდეგობრივი. იგი აღწერს ვითარებას და სრულიად გარკვევით ამბობს: "ა. კ-იანი მოვიდა ჩემთან და მითხრა, თვის ბოლოს თანხა მომიტანეო, "სტავკა" დამიდგინა ყოველთვიურად". იქვე, ზ. ს-შვილი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ: "ა. კ-იანი მოვიდა ჩემთან, მომთხოვა ფული და მითხრა რამდენს მომიტანო. მე ვუთხარი "რა ფული, რის ფულიო", რის გამოც მან წამიშინა მუშტი. როცა მირტყამდა, მე გავიქეცი. ამის შემდეგ ადვოკატ თ. ქ-ძის შეკითხვაზე დაზარალებული პასუხობს: "როგორც მახსოვს, ფულს იმ წუთისათვისაც მთხოვდა და თვის ბოლოსთვისაც. ახლა დეტალებში ზუსტად არ მახსოვს. მაშინ უფრო კარგად მემახსოვრებოდა, გამოაქვეყნეთ ჩემი ჩვენება, სიმართლე მაქვს ნათქვამი". მისი დაკითხვის ბოლოს პროკურორის შეკითხვაზე პასუხობს: "იმ წუთშიც მომთხოვა ფული და თვის ბოლოსთვისაც". იმავე ჩვენებაში დაზარალებული ზ. ს-შვილი ადასტურებს, რომ საქმის დეტალები ისე იყო, როგორც მან აღნიშნა წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში, ხოლო ცოტა ქვემოთ კიდევ ერთხელ მიუთითებს: "წინასწარ გამოძიებაში და შემდეგ ჩემ მიერ მიცემულ ჩვენებას ვეთანხმები". თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, დაზარალებულის ამ ჩვენებაში არსებითი მნიშვნელობის მქონე დეტალები დაუზუსტებელი დარჩა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ ადგილზე თათბირით დაადგინა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია, დაიკითხოს დაზარალებული, თუმცა გაურკვეველი დარჩა: რის გამო ჩათვალა საჭიროდ სასამართლომ დაზარალებულის ხელახლა დაკითხვა, ვინაიდან, მართალია, სასამართლომ დაზარალებულს დაუსვა გარკვეული შეკითხვები, მაგრამ არც ერთი შეკითხვა არ დაუსვამს იმ მნიშვნელოვან დეტალებზე, წინააღმდეგობებსა და გაურკვეველობებზე, რომლებიც დაზარალებულის ჩვენებებში არსებობდა და რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ა. კ-იანის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრისათვის.

ამრიგად, დაზარალებულ ზ. ს-შვილის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე, პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში მიცემული წინააღმდეგობრივი ჩვენებებიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგება მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიერ ყაჩაღობის ჩადენა. დაზარალებულის ჩვენებებით შეიძლება სარწმუნოდ და დადგენილად იქნეს მიჩნეული მათში დასახელებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც დასტურდება საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებითაც, კერძოდ, მხედველობაშია მოწმე კ. ს-შვილის მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები. იგი არის მომხდარი შემთხვევის შემსწრე, რომელთანაც თავდაპირველად კონტაქტი დაამყარა ა. კ-იანმა, რომელიც ითხოვდა მისგან 200 ლარის შეგროვებასა და მისთვის გადაცემას. ამ ჩვენებაში აშკარად არის გამოკვეთილი არა ყაჩაღობის, არამედ გამოძალვის ნიშნები და ეს ჩვენებები ემთხვევა დაზარალებულის ჩვენებებში მითითებულ იმ გარემოებებს, რომლებიც აშკარად მიუთითებს ა. კ-იანის მიერ გამოძალვის ჩადენაზე, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ საქმეში არ მოიპოვება სხვა ისეთი სარწმუნო მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიერ ყაჩაღობის ჩადენის ვერსიის უტყუარად დადასტურება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგი: მსჯავრდებულმა ა. კ-იანმა დაზარალებულ ზ. ს-შვილის მიმართ ჩადინა გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის (ფულადი თანხების) გადაცემის მოთხოვნა, რასაც თან ერთვოდა დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, და არა - ყაჩაღობა, რის გამოც მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: როგორც საბრალდებო დასკვნასა და განაჩენებშია მითითებული, მსჯავრდებულმა ა. კ-იანმა ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენისას დაზარალებულ ზ. ს-შვილს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, დანიანი ხელი ჩაარტყა სახის არეში, რითაც მას სახე დაუზიანა, თუმცა, ამას ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. ეს ფაქტი დადასტურებულია საქმეში არსებული, 2005 წლის 29 ივლისის #75\2-3-351 სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით და მას თვით მსჯავრდებულებაც არ უარყოფს. ამ ნაწილში ა. კ-იანის ქმედება შეიცავს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რომელსაც არ მოიცავს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით (მითითებული რედაქცია) გათვალისწინებული ქმედება. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები, რომ დაზარალებულმა ზ. ს-შვილმა 2005 წლის 29 ივლისის პოლიციისათვის მიმართულ განცხადება-საჩივარში ხაზგასმით მოიხსენია ა. კ-იანის მიერ თავისი ცემის ფაქტი და დაბეჯითებით მოითხოვა რეაგირება ამის თაობაზე. მართალია, აღნიშნული განცხადება-საჩივრის საფუძველზე ა. კ-იანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, მაგრამ ყაჩაღობა თავისი შინაარსით მოიცავს დაზარალებულის ცემასა და მისი ჯანმრთელობის მსუბუქ დაზიანებასაც, თუკი ასეთი მოხდა ყაჩაღობის ჩადენისას. ამჟამად, როცა დაზუსტდა ა. კ-იანის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, ეს უკანასკნელი, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის (მითითებული რედაქცია) ნაცვლად, უნდა დაკვალიფიცირდეს ორი მუხლით - საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით (მითითებული რედაქცია) და ასევე იმავე კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია აღნიშნული კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. როგორც აღინიშნა, დაზარალებული ზ. ს-შვილი თავის განცხადება-საჩივარში სამართალდამცავი ორგანოებისგან რეაგირებას ითხოვდა თავისი ცემისთვისაც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მის მოთხოვნას წარმოადგენს დამნაშავეს დასჯა ცემისათვის. აქედან გამომდინარე, მსჯავრდებულ ა. კ-იანს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვისაც.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. კ-იანის მიმართ ჩადენილი ქმედებებისათვის სასჯელის ზომების განსაზღვრას, უნდა აღინიშნოს, რომ მან სააპელაციო სასამართლოსა და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ფაქტობრივად აღიარა და მოინანია ის დანაშაული, რაც მას რეალურად აქვს ჩადენილი, ამასთან, მან საკმაოდ დიდი დრო გაატარა წინასწარ პატიმრობაში, რაც ასევე უნდა

იქნეს გათვალისწინებული. აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ა. კ-იანს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით; საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო წინასწარ პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, იგი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს ჯარიმების სახით დანიშნული სასჯელეზისაგან და ჩაითვალოს სასჯელმოხდილად, რის გამოც ა. კ-იანი უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

საბოლოოდ საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ ა. კ-იანის ბრალდების საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას არ დაიცვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18, მე-19 მუხლებითა და 496-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, ასევე დაუშვა იმავე კოდექსის 538-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული დარღვევა, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე. აღნიშნული გარემოება, საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტების, 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 564-ე მუხლის "ა", "ბ" ქვეპუნქტების თანახმად, მოცემულ შემთხვევაში განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები მსჯავრდებულ ა. კ-იანის სასიკეთოდ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ა. კ-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. კ-იანს მოეხსნას შერაცხული ბრალდება ყაჩაღობის ჩადენის თაობაზე, ხოლო მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან (მითითებული რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველ ნაწილზე და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველ ნაწილზე (მითითებული რედაქცია).

მსჯავრდებულ ა. კ-იანს სასჯელის ზომად განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის (მითითებული რედაქცია) საფუძველზე - ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის შესაბამისად, წინასწარ პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, იგი მთლიანად გათავისუფლდეს აღნიშნული ჯარიმების მოხდისაგან და ჩაითვალოს სასჯელმოხდილად.

ა. კ-იანი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ყაჩაღობა

## განჩინება

#856-აპ-09

5 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ლ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 სექტემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

კასპის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის განაჩენით დ. ლ. გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩადინა ყაჩაღობა, ასევე - საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის 21 მარტს, ღამით, დ. ლ-მ და დაუდგენელმა პირმა, ნილაბაფარებულებმა, ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულებმა, უკანონოდ შეაღწიეს გორის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ა. ძ-ს საცხოვრებელ ბინაში, საიდანაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაიტაცეს ფული - 2700 აშშ დოლარი, სხვადასხვა დასახელების ნივთი და ოქროს ნაკეთობები, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენეს 2700 აშშ დოლარისა და 15268 ლარის ზიანი.

2003 წლის 12 მაისს, დაახლოებით 12 საათზე, გორში, სტალინის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურში, გადასასვლელ ხიდთან, გორის შს სამმართველოს მუშაკებმა დააკავეს დ. ლ-ი. იმავე დღეს გორში, ... #23-ში მდებარე დ. ლ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოიღეს უკანონოდ შექმნილი და შენახული 5 ვაზნა, რომლებიც, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, ვარგისია სროლისათვის და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ლ-ს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით, ხოლო 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით დ. ლ-ს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო - 2003 წლის 12 მაისიდან 2003 წლის 2 ოქტომბრამდე - 4 თვე და 20 დღე. მსჯავრდებულს დაზარალებულების სასარგებლოდ დაეკისრა 15000 ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა დ. ლ-მ და მისმა ადვოკატმა ნ. გ-მა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება, დ. ლ-ს გამართლება და უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ბ-მ და დაზარალებულმა ა. ძ-მა შესაგებლად ითხოვეს დ. ლ-ს მიმართ კასპის რაიონული სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 7 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და კასპის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 25 მარტის განაჩენი დ. ლ-ს მიმართ დარჩა უცვლელად. ამასთან, მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2008 წლის 12 დეკემბრიდან.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ლ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ არასწორადაა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი; განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ და დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებებს; არსებითადაა დარღვეული სისხლის სამართლის საპროცესო კანონი; განაჩენი ემყარება ერთადერთ მტკიცებულებას - დაზარალებულ ა. ძ-ს ჩვენებას, რომელიც მან რამდენჯერმე შეცვალა. სხვა რაიმე მტკიცებულება საქმეში არ არის; დ. ლ-ს დანაშაული არ ჩაუდენია და მზად არის, აღნიშნული სიცრუის დეტექტორზე დაამტკიცოს; საქმე რომ "სუსტადაა" გამოძიებული, ეს გამოძიებულმა და პროკურორმაც დაადასტურეს

სასამართლოში დაკითხვის დროს; მსჯავრდებულს აქვს ალიბი და ჰყავს მოწმეები, თუმცა სასამართლომ მათ არ დაუჯერა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა კასატორის მითითებები საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითად დარღვევის შესახებ, კერძოდ:

საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 2 ოქტომბრის დადგენილება, კასატორის მტკიცების საპირისპიროდ, გასაჩივრა პროკურორმა, რის საფუძველზეც აღნიშნული დადგენილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

აღნიშნულმა სასამართლომ "დაუშვებელ მტკიცებულებად" ცნო გამომძიებლის დადგენილება, შუამდგომლობა, მიმართვა და მოსამართლის ბრძანებებიც.

პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულების ცნება და სახეები მითითებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლში. კანონი არ ითვალისწინებს საპროცესო მოქმედების ან გადაწყვეტილების (მათ შორის - სასამართლო გადაწყვეტილების) დაუშვებლად ცნობის შესაძლებლობას. ისინი შეიძლება გასაჩივრდეს და/ან გაუქმდეს დადგენილი წესით.

აღნიშნული დადგენილებით დაუშვებლადაა ცნობილი ერთადერთი მტკიცებულება - ი. ძ-ს ჩვენება, თუმცა გასაჩივრებულ განაჩენში ასახულია მისი მხოლოდ სასამართლოში მიცემული განმარტება.

ყველა დაზარალებული მიუთითებს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო უნილბოდ. სწორედ იგი (დ. ლ.) ამოიწყო ა. ძ-მა და ორივე ინსტანციის სასამართლოში დამაჯერებლად ამხილა. მან კატეგორიულად მიუთითა, რომ ყაჩაღობისას დ. ლ-ს სახე კარგად დაინახა და იგი ამოიწყო თავზე ნაიარევითაც. გარდა ამისა, დაზარალებული ც. გ. მიუთითებს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი კოჭლობდა. გაირკვა, რომ დ. ლ-ს ავტოავარიის შედეგად მართლაც ჰქონდა თავზე ნაიარევი და კოჭლობდა კიდეც.

კასატორი აპელირებს დაზარალებულ ა. ძ-ს მიერ ჩვენების შეცვლაზე 2003 წელს, თუმცა არ მიუთითებს ამის მიზეზს, რაც სასამართლოში გაირკვა.

დაზარალებული ცოლ-ქმრის განმარტებით, დ. ლ-ს მეგობრები მათგან ითხოვდნენ ჩვენების შეცვლას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემოქმედებდნენ შვილის მოკვლით. ც. გ-ს ჩვენებით, მის შვილს მართლაც სცემეს და შესაძლოა მოეკლათ კიდეც, მეუღლეს ჩვენება რომ არ შეეცვალა.

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს დ. ლ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ობიექტურია, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი - დასაბუთებული.

ამასთან, დ. ლ-ს ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე, რადგან ახალი კანონით ჯგუფური ყაჩაღობისათვის შემსუბუქდა სასჯელი. ამის შესახებ საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. ამასთან, სააპელაციო პალატას საქმე არ განუხილავს იმგვარი საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ დ. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 7 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს: დ. ლ-ს ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე;

დ. ლ-ს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტით განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და დ. ლ-ს საბოლოოდ განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ყაჩაღობა

## განჩინება

#33-აპ-10

21 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განაჩენით თ. მ-ე (მებნილი), ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 7 წლით; 363-ე მუხლის II ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; 276-ე მუხლის V ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე მას სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; 128-ე მუხლით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გათავისუფლდა ამ მუხლით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან. იგი სასჯელს იხდის დაკავების დღიდან - 2009 წლის 1 ივლისიდან.

დ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა", "ბ" ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 7 წლით, ხოლო 363-ე მუხლის II ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იმავე კოდექსის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, დ. ს-ეს სასჯელად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2001 წლის 11 დეკემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წელი და 15 დღე, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 11 თვე, 24 დღე და საბოლოოდ დ. ს-ეს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით, 6 თვითა და 9 დღით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 13 მაისიდან.

განაჩენით თ. მ-ეს ბრალი დაედო ყაჩაღობაში ე.ო. თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად; მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცებაში; ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევაში იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ადამიანის სი-



ცოცხლის მოსპობა და აგრეთვე, დაუხმარებლად იმის მიტოვებაში, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა და შესაძლებლობა არ ჰქონდა მიეღო ზომები თავის დასაცავად, როცა მიმტოვებელს ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში თ. მ-ემ და დ. ს-ემ განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებოდნენ მოქალაქეთა კუთვნილ ქონებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2004 წლის 27 დეკემბერს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფნი, დაახლოებით 00.00 საათზე, მივიდნენ ქ. ქუთაისში, სადგურის მოედანზე არსებულ ტაქსების გაჩერებაზე, სადაც მოქალაქე ვ. კ-ეს სთხოვეს მისი კუთვნილი "ვაზ-21063" მარკის ა/მანქანით ე.წ. „ს-ზე“ გაყვანა. ვ. კ-ე დაეთანხმა, თუმცა ნასვამ ახალგაზრდებთან უსიამოვნების ან გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თავის ნაცნობს - დ. ჭ-ეს სთხოვა თან გაყოლა. გზაში მოძრაობისას დ. ს-ემ შარვლის უკანა ჯიბიდან ამოიღო დანა, რის შემდეგაც ვ. კ-ესა და დ. ჭ-ეს დაემუქრა მოკვლით და მიმართავდა უცენზურო სიტყვებით. ვ. კ-ემ მუქარა აღიქვა რა რეალურად, შემინებულმა შეაჩერა ა/მანქანა, რა დროსაც თ. მ-ე გადმოვიდა ავტომობილიდან, ვ. კ-ე იძულებით გადასვა გვერდით სავარძელზე, ხოლო საჭესთან თვითონ დაჯდა. პარალელურად დ. ს-ემ ვ. კ-ეს დანის მუქარით გასტაცა ფულადი თანხა - 5 ლარის ოდენობით, „სიმენსის“ ფირმის მობილური ტელეფონი, მართვის მოწმობა და ტრანსპორტის სარეგისტრაციო ბარათი. თავდამსხმელები დ. ჭ-სგანაც მოითხოვდნენ ფულის გადაცემას, მაგრამ თანხა მას არ ჰქონდა, რის შემდეგაც დაზარალებულები აიძულეს, ჩასულიყვნენ ა/მანქანიდან და ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლებული ავტომობილით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან.

2004 წლის 28 დეკემბერს თ. მ-ე დ. ს-ესთან ერთად ყაჩაღური თავდასხმის დროს დაუფლებული ზემოხსენებული ა/მანქანით მოძრაობდა ქ. ქუთაისში, რა დროსაც ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დაცვა, ვერ დაიმორჩილა საჭე, დიდი სიჩქარით შევარდა ბორდიურზე და დაეჯახა ქვეითად მოსიარულეებს - ჟ. ქ-ესა და ა. ე-ეს. თ. მ-ე, მიუხედავად იმისა, რომ მას ევალებოდა და შეეძლო დახმარებოდა განსაცდელში მყოფ დაზარალებულებს, თანაზრახველ დ. ს-ესთან ერთად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, რის შედეგად ა. ე-ე გარდაიცვალა.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა თ. მ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. კ-მა.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ საფუძველით, რომ თ. მ-ეს დანაშაული არ ჩაუდენია, საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, რომელიც მსჯავრდებულის მიმართ წარდგენილ ბრალდებებს დაადასტურებდა. სასამართლო სხდომაზე აპელანტებმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა. მათ ითხოვეს მსჯავრდებულის გამართლება საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის II ნაწილითა და სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებებში, ხოლო სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შერაცხულ ბრალდებაში - სასჯელის მინიმუმის დანიშვნა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

თ. მ-ეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

თ. მ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (ამჟამად მოქმედი რედაქცია).

თ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) - 7 წლით; 276-ე მუხლის V ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრისა და 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონების საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 1 წლითა და 6 თვით; 128-ე მუხლით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და „ამნისტიის შესახებ“ 2007 წლის 29 ნოემბრისა და 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონების საფუძველზე გათავისუფლდა ამ მუხლით დაინიშნული სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, თ. მ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა თ. მ-ემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. კ-მა საკასაციო საჩივრით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამარ-

თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები ითხოვენ: პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოთა განაჩენების გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის V ნაწილითა და 128-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში; საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით შერაცხულ ბრალდებაში სასჯელის მაქსიმალურად შემცირებას; ან სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულების: ვ. კ-ის, დ. ჭ-ის, ჟ. ქ-ის ჩვენებებით, მოწმეების: თ. ჟ-ის, შ. მ-ის, რ. ხ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, პიროვნების ფოტოსურათითა და ამოსაცნობად წარდგენის ოქმებითა და საქმის სხვა მასალებით უტყუარად დასტურდება თ. მ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ თ. მ-ის სასიკეთოდ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულ თ. მ-ის ქმედება ყაჩაღობის ნაწილში, კერძოდ: საბრალდებო დასკვნითა და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით თ. მ-ეს შერაცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად), ხოლო სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ თ. მ-ე დამნაშავედ ცნო მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევითა და ჯგუფურად). ამდენად, მსჯავრდებულ თ. მ-ეს განაჩენიდან უნდა ამოერიცხოს ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით). გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გადააკვალიფიცირა თ. მ-ის ქმედება, კერძოდ, მას მსჯავრდებულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) უნდა გადაეკვალიფიცირებინა არა მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" (ყაჩაღობა ჩადენილი სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით), არამედ - "ბ" ქვეპუნქტზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის.

ამდენად, თ. მ-ეს უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) ზედმეტად წარდგენილი ბრალდება, ხოლო სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) დაკვალიფიცირებული ქმედება უნდა გადაეკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე.

სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ თ. მ-ისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის - ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

თ. მ-ეს განაჩენიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) ზედმეტად წარდგენილი ბრალდება.

თ. მ-ის დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ა" ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაეკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტზე.

თ. მ-ეს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის II ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდეს.

თ. მ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (ამჟამად მოქმედი რედაქცია) - 7 წლით; 276-ე მუხლის V ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრისა და 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონების საფუძველზე გაუნახვერდეს და განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე ჩამოერთვას ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 1 წლითა და 6 თვით; 128-ე მუხლით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრისა და 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონების საფუძველზე გათავისუფლდეს ამ მუხლით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შვერების წესით, თ. მ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 8 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქურდობა

### განჩინება

#57-აპ-10

21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ლ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ პ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განაჩენით ი. ლ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით; ამავე კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ი. ლ-ეს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რომლის ათვლაც მას დაეწყო დაკავების დღიდან - 2009 წლის 5 თებერვლიდან.

განაჩენით ი. ლ-ეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ასევე - თაღლითობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის სექტემბერში ი. ლ-ემ 40 ლარად იქირავა მ. დ-ის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქალაქ ქუთაისში, ... ქუჩის #30\12-ში. აღნიშნულ ბინაში ცხოვრებისას მან განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ქირით ცხოვრების პერიოდში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, იგი ფარულად დაეუფლა მ. დ-ის კუთვნილ სხვადასხვა დასახელების ნივთს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 1740 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. 2004 წელს ი. ლ-ემ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ხუთსანთლიანი ჭაღი და "კასკადის" ფირმის საქსოვი მანქანა მიჰყიდა ნ. გ-სა და ლ. გ-ას.

ი. ლ-ემ განიზრახა მოტყუებით ვ. ა-ის მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან მოიპოვა ვ. ა-ის ნდობა და 2006 წლის 28-29 ნოემბერსა და იმავე წლის 3 დეკემბერს მისგან დაიტოვა 100 ლარის ღირებულების, 12,5 კილოგრამი თაფლი იმ მოტივით, რომ შვილის მიერ რუსეთის ფედერაციიდან გამოგზავნილი თანხით გადაიხდიდა საფასურს. შემდგომში კი დაზარალებულს უარი განუცხადა თაფლის საფასურის გადახდაზე, განაცხადა, რომ ამ უკანასკნელს მისი ვალი ჰქონდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აპელანტი, მსჯავრდებული ი. ლ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი პ. კ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განა-

ჩენში ცვლილების შეტანას და დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას იმ მოტივით, რომ ი. ლ-ე აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ითანამშრომლა გამოძიებასთან, არ არის ნასამართლელი, დაზარალებულს დაუბრუნდა დაკარგული ნივთების ძირითადი ნაწილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენით აპელანტების - მსჯავრდებულ ი. ლ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ პ. კ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 10 სექტემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება სასჯელის ნაწილში, კერძოდ: ი. ლ-ეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით შეფარდებული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რის შედეგადაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ი. ლ-ეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ი. ლ-ემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა პ. კ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები საჩივრით ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანასა და მსჯავრდებულ ი. ლ-ისათვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ი. ლ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ლ-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება ი. ლ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რასაც არც თვით მსჯავრდებული უარყოფს. რაც შეეხება მსჯავრდებულ ი. ლ-ის მიმართ შეფარდებულ სასჯელს, პალატა თვლის, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სწორად გაითვალისწინა ი. ლ-ის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმე და ხასიათი, მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და ისე განუსაზღვრა მას სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: ი. ლ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. რაც შეეხება ი. ლ-ის მიმართ აღნიშნული მუხლის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს - თავისუფლების აღკვეთას 2 წლის ვადით - უნდა დარჩეს უცვლელად, აღნიშნული დანაშაულისათვის კანონის ადრინდელი (2000 წლის 30 მაისის) რედაქციით დადგენილი სასჯელის მინიმუმის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ი. ლ-ისა და მისი დამცველის, ადვოკატ პ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ი. ლ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ხოლო ი. ლ-ის მიმართ გასაჩივრებული განაჩენით დანიშნული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით - დარჩეს უცვლელად.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქურდობა განჩინება

#318-აპ-10

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ხ-ისა და დაზარალებულების - ნ. და ბ. ხ-ბის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით გ. ხ-ე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლით (1961 წლის რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის შემდგომი მოხდისგანაც გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის VI ნაწილის თანახმად, 177-ე მუხლის III ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით (1999 წლის რედაქცია) - 9 წლით, ხოლო 260-ე მუხლის II ნაწილის "ა", "დ", "ე" ქვეპუნქტებით - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების გამოყენებით გ. ხ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, გ. ხ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავე კოდექსის 41-ე-42-ე მუხლების თანახმად კი მას დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 26 ივნისიდან.

გ. ხ-ეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, ხოლო 10 წლის ვადით - საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

არ დაკმაყოფილდა დაზარალებულ ნ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელი.

გ. ხ-ეს განაჩენით მსჯავრი დაედო:

ქურდობისათვის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, ბინაში უკანონო შეღწევით;

მოქალაქის კუთვნილი დოკუმენტის გატაცებისათვის;

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმენა-შენახვისათვის იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

1999 წლის სექტემბრის დასაწყისში გ. ხ-ე დანაშაულებრივად დაუკავშირდა სააქციო საზოგადოება „ტურისტის“ იმჟამინდელ მძღოლ რ. რ-ეს და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებს. მათ გადაწყვიტეს, რომ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად შეეღწიათ ნ. და რ. ხ-ბის საცხოვრებელ ბინაში, წინასწარ ფარულად მოემზადებინათ გასატაცებელი ქონება, რის შემდეგაც რ. რ-ე მასზე განპიროვნებული სამგზავრო ავტობუსით მივიდოდა ზემოთ მითითებულ საცხოვრებელ ბინასთან და უზრუნველყოფდა ქონების ავტობუსით გადაზიდვასა და ასევე თანამზრახველი პირების დანაშაულის ადგილიდან უსაფრთხო გადაყვანას.

1999 წლის 8 სექტემბერს გ. ხ-ე თანამზრახველ პირებთან ერთად ხ-ბის ბინაში შევიდა საპირფარეოს კარის შეტეხვის გზით. მათ გასატაცებლად მოამზადეს საოჯახო ნივთები და სხვადას-

ხვა მატერიალური ფასეულობანი, ხოლო რ. რ-ე შეთანხმებისამებრ ავტობუსით მივიდა ე.წ. „წუ-ლუკიდის“ ბაღთან. დაახლოებით 13 საათისათვის მან ქუჩის მხრიდან ავტობუსი მიაყენა ბინის შესასვლელ კართან და გ. ხ-ემ თანამზრახველ პირებთან ერთად ავტობუსში შეიხიდა ხ-ბის ბინი-დან გატაცებული ქონება - 57176 ლარის ღირებულების მატერიალური ფასეულობა, რითაც დაზა-რალეზულს მიაყენეს დიდი ოდენობის ზიანი. ასევე გაიტაცეს ბ. ხ-ის პირადი არაქონებრივი ხა-სიათის დოკუმენტი: საერთაშორისო სწავლების ცენტრის „თასისისა“ და საერთაშორისო ინფორმა-ტიკის ცენტრის კურსების დამთავრების სერტიფიკატები.

ხ-ბის ქურდობის ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩა იქვე, ახლოს, დაახლოებით 8 მეტრში მყოფ, კერძო მოვაჭრე მოქალაქეს - ლ. კ-ს, რომელმაც სიგარეტ „ვაისროს“ კოლოფის ნახევზე ჩაიწერა ავტობუსის ნომერი და საშველად მოუხმომეზობლებს. რ. რ-ე თანამზრახველ პირებთან და გატა-ცებულ ქონებასთან ერთად ავტობუსით, რომელსაც თვითონვე მართავდა, სწრაფად გასცილდა და-ნაშაულის ადგილს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 8 დეკემბრის განაჩენით გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით - 3 წლის გამოსაცდელი ვადით (2007 წლის 23 დეკემბრამდე).

2007 წლის 14 თებერვალს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის თანახ-მად, გ. ხ-ე დაჯარიმდა 500 ლარით.

2007 წლის 14 სექტემბერს გ. ხ-ე კვლავ ამხილეს პოლიციის თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის განაჩენით გ. ხ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფ-ლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 1 წელი და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2007 წლის 14 სექტემბრიდან.

მიუხედავად ამისა, გ. ხ-ე არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე, განზრახი დანაშაული, კერძოდ, მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, და-უდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით - 0, 3343 გრამი.

2009 წლის 26 ივნისს, 13 საათზე, რესტორან „ე-ის“ წინამდებარე ტერიტორიაზე, საქართვე-ლოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართვე-ლოს თანამშრომლებმა მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს გ. ხ-ე, რო-მელსაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რის შედეგადაც მისი შარვლის წინა, მარცხენა ჯიბიდან ამოიღეს ვერცხლისფერი ფოლგის ქაღალდში რვა ე.წ. „ჩეკად“ დაფასოებული, მოყვითალო ფხვიერი ნივთიერება, რომე-ლიც ქიმიური ექსპერტიზის #162/სქ დასკვნით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, წონით - 0, 3343 გრამს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაა-საჩივრეს: სახელმწიფო ბრალმდებელმა - მ. ბ-მა, დაზარალეზულებმა - ნ. და ბ. ხ-ბმა და მსჯავრდებულმა გ. ხ-ემ.

აპელანტმა, სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა მ. ბ-მა სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ გ. ხ-ეს რ. რ-სთან ერთად სოლიდარულად დაკისრებოდა ნ. და ბ. ხ-თვის მიყენებული ზიანის - 57176 ლარის გა-დახდა.

აპელანტებმა, დაზარალეზულებმა - ნ. და ბ. ხ-ბმა სააპელაციო საჩივრით ითხოვეს გასაჩივრე-ბულ განაჩენში ცვლილების შეტანა, მსჯავრდებულისათვის სასჯელის გამკაცრება და სამოქალაქო სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ: გ. ხ-სათვის რ. რ-თან ერთად, სოლიდარულად, მათთვის მიყენებული ზიანის - 57176 ლარის დაკისრება.

აპელანტმა, მსჯავრდებულმა გ. ხ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რადგან ბრალად შერაცხული დანა-შაულები არ ჩაუდენია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თე-ბერვლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. ხ-ემ და დაზარალებულებმა ნ. და ბ. ხ-ბმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა - მსჯავრდებულმა გ. ხ-ემ აღნიშნა, რომ არის უდანაშაულო. მან ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქმის წარმოებით შეწყვეტა.

კასატორებმა - ნ. და ბ. ხ-ბმა ითხოვეს ღმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმება, სასჯელის გამკაცრება და დაზარალებულ ნ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება გ. ხ-ისათვის სოლიდარულად 57176 ლარის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

მსჯავრდებულმა გ. ხ-ემ პალატის წინაშე იშუამდგომლა და შესაგებლით ითხოვა დაზარალებულებისათვის უარის თქმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნაზე, ასევე ითხოვა საქმის წარმოებით შეწყვეტა და გამართლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. ხ-ისა და დაზარალებულების - ნ. და ბ. ხ-ბის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი გარემოებების გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ გ. ხ-ის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ გ. ხ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმებისა და საქმის წარმოებით შეწყვეტის თაობაზე. ასევე არ იზიარებს დაზარალებულების - ნ. და ბ. ხ-ის მოთხოვნას ღმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმების, სასჯელის გამკაცრებისა და დაზარალებულ ნ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებაში გ. ხ-ემ განაცხადა, რომ მას არც ნარკოტიკი ჰქონია და არც ქურდობა ჩაუდენია, მაგრამ, პალატის აზრით, ასეთი ჩვენების მიცემა განაპირობა პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზანმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 4 თებერვლის განაჩენით რ. რ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის "ა", იმავე მუხლის III ნაწილის "ბ", "გ" ქვეპუნქტებით, 212-ე მუხლით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შთანთქმის პრინციპით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დაკმაყოფილდა ნ. ხ-ის სამოქალაქო სარჩელი.

ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განაჩენების მოტივაციას ნ. და ბ. ხ-ბისათვის სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ იმ საფუძვლით, რომ სამოქალაქო სარჩელზე სასამართლომ იმსჯელა 2002 წლის 4 თებერვალს - რ. რ-ის ბრალდების საქმის განხილვისას, რა დროსაც სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა მთლიანად და მსჯავრდებულ რ. რ-ეს დაეკისრა 57176 ლარის გადახდა ხ-ბის ოჯახის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით: "მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა". აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ხ-ეს სასჯელი დაუნიშნა იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმეს, მის პიროვნებას და რაც, მეტისმეტი სიმსუბუქის გამო, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ.

სასამართლო გამოძიებით მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: ექვმიტანილის დაკავების, პირადი ჩხრეკის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, ნარკოტიკულ თრობაზე შემოწმების დასკვნით, ქიმიური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებით, მოწმეების: შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლების - ლ. მ-ისა და ბ. ნ-ის ჩვენებებით, დაზარალებულების: ნ. რ. და ბ. ხ-ბის, მოწმეების: თ. და ა. რ-ბის, ლ. და ნ. კ-ბის, ნ. ხ-ის, მ. პ-ის, ც. ჯ-ის, თ. ხ-ის ჩვენებებით, საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლის თანახმად პრეიუდიციულად

დადგენილი ფაქტებით: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 4 თებერვლისა და 2003 წლის 24 ივნისის განაჩენებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 17 ნოემბრის განჩინებით, რომელთა მიხედვით რ. რ-ეს შეეფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დაეკისრა ნ. და რ. ხ-ბის სასარგებლოდ დანაშაულებრივი გზით მიყენებული მატერიალური ზიანის - 57176 ლარის გადახდა და, ასევე საქმის სხვა მასალებით გ. ხ-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ გ. ხ-ის დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, 1999 წლის რედაქცია), შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს, ხოლო იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (ქურდობა, ბინაში უკანონო შეღწევით, 1999 წლის რედაქცია), - ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 5-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 6-დან 10 წლამდე, იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი კი - 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და წარმოადგენს მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის კატეგორია მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიცვალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ გ. ხ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან (1999 წლის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე (2006 წლის 29 დეკემბრის კანონი).

ამასთან, პალატა თვლის, რომ გ. ხ-ის მიმართ დანიშნული საბოლოო სასჯელი მოქმედი სსკ-ის შესაბამისი მუხლების სანქციათა ფარგლებშია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ გ. ხ-ისა და დაზარალებულების - ნ. და ბ. ხ-ბის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ:

მსჯავრდებულ გ. ხ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებიდან (1999 წლის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებზე (2006 წლის 29 დეკემბრის კანონი).

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.